11/04/2021

პატრიარქი ელისაბედ II-ს პრინც ფილიპის გარდაცვალების გამო სამძიმარს უცხადებს



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel.: (995 32) 2990378, 2989540

მის უდიდებულესობას, დედოფალ ელისაბედ II-ს

თქვენო უდიდებულესობავ,

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის და პირადად ჩემი სახელით მიიღეთ სამძიმარი მეუღლის, მისი სამეფო უმაღლესობის, ედინბურგის ჰერცოგის, პრინც ფილიპეს გარდაცვალების გამო, რომლის სახითაც ათწლეულების მანძილზე თქვენ გყავდათ თქვენი ფრიად საპატიო ჯვრის ღირსეული და ერთგული თანამტვირთველი.

თქვენი სამეფო ოჯახისა და გაერთიანებული სამეფოს მწუხარებას, რომელსაც იზიარებს მთელი მსოფლიო, ვუერთდებით ჩვენც.

ვლოცულობთ პრინც ფილიპეს უკვდავი სულისათვის და ამასთან, შევთხოვთ ღმერთს, მოგანიჭოთ მხნეობა და სულიერი ძალა თქვენი სამეფო ოჯახისა და თქვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

11.04.2021



CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel.: (995 32) 2990378, 2989540

To Her Majesty, Queen Elizabeth II,

Your Majesty,

On behalf of the Autocephalous Apostolic Orthodox Church of Georgia and, personally, on my behalf, I extend our condolences on the death of your spouse, His Royal Highness Prince Philip, the Duke of Edinburgh, in whose person you had a worthy and faithful companion who shared your highly honourable cross for decades.

The grief of your royal family and the United Kingdom, shared by the whole world, is joined by us also.

We pray for the immortal soul of Prince Philip and, furthermore, we implore God that He might endow you, Your Majesty, with fortitude and spiritual strength for the wellbeing of your royal family and your country.

Yours sincerely,

Catholicos-Patriarch of All Georgia

11.04.2021

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მის უდიდებულესობა ელისაბედ II-ს პრინც ფილიპეს გარდაცვცალების გამო სამძიმარს უცხადებს. სამძიმრის წერილს საქართველოს საპატრიარქო ავრცელებს.

“თქვენო უდიდებულესობავ, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის და პირადად ჩემი სახელით მიიღეთ სამძიმარი მეუღლის, მისი სამეფო უმაღლესობის, ედინბურგის ჰერცოგის, პრინც ფილიპეს გარდაცვალების გამო.

პრინც ფილიპეს სახით, ათწლეულების მანძილზე თქვენ გყავდათ თქვენი ფრიად საპატიო ჯვრის ღირსეული და ერთგული თანამტვირთველი.

თქვენი სამეფო ოჯახისა და გაერთიანებული სამეფოს მწუხარებას, რომელსაც იზიარებს მთელი მსოფლიო, ვუერთდებით ჩვენც.

ვლოცულობთ პრინც ფილიპეს უკვდავი სულისათვის და ამასთან, შევთხოვთ ღმერთს, მოგანიჭოთ მხნეობა და სულიერი ძალა თქვენი სამეფო ოჯახისა და თქვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ”, – ნათქვამია სამძიმრის წერილში.

— ipn.ge